

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 11

ქ.თბილისი

10.12.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
თუთა წარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თემურ ტუნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მზია შავაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;

ია შალამბერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;

სვიმონ ჯავახიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი.

ქეთევან ჯინჭარაძე - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ზაზა რუხაძე - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, ვიცე-პრეზიდენტი;

მარინა მუსხელიშვილი - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

თეა იმნაიშვილი - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;

ბაქარ ბერეკაშვილი - შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

გიორგი გვალია;

ციური დურული;

თეა ნადირაძე;

არჩილ ლორია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:25 საათზე. ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა წარმატება უსურვა ახლად არჩეულ აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და წარუდგინა ისინი სხდომაზე დამსწრე პირებს. საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე, შესაბამისად, მისი მოვალეობა შეასრულა თავმჯდომარის მოადგილემ, ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

6-16

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

6.106

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა თეა ნადირაძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული №923886 და №992077 წერილები და წარმოების საფუძველზე შედგენილი ცენტრის დირექტორის ბრძანება. ვიზიტზე შესწავლილ იქნა დაწესებულების საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების პირობები. მან ასევე დაამატა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის №798 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მიღებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელიც შემოწმდა მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში. კერძოდ:

- პროგრამის აკრედიტაციის დროს პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კომპეტენციების რუქას. ისეთ საგნებს, როგორიცაა „სახელმწიფო და სამართლის საფუძვლები“, „საერთაშორისო კონფლიქტები და უსაფრთხოება“, „პროფესიული ეთიკა“ არ გააჩნდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, როგორც კომპეტენცია. აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ იქნა დაწესებულების მიერ გათვალისწინებული, რაც ნიშნავდა იმას, რომ კომპეტენციების გამოსწორების მიზნით, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი აისახა პროგრამის კომპეტენციათა რუქაში, მაგრამ სილაბუსებში ეს ცვლილება არ იყო გათვალისწინებული. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი. რაც შეეხებოდა, პროფესიულ ეთიკას, აღნიშნული საგანი პროგრამით აღარ იყო გათვალისწინებული.

- მეორე რეკომენდაციის შეეხებოდა მატერიალური რესურსების ნაწილს. მატერიალური რესურსის გაძლიერება აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიების (პროექტორების) სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იყო - დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა პროექტორის შესყიდვის აქტი, ასევე შენობა-ნაგებობაში გამოყოფილია შესაბამისი სივრცე - აუდიტორია, რომელიც გაწყობილია სადემონსტრაციო საშუალებებით;

- მესამე რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისური ენის გაძლიერებას, კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტების საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდას. აღნიშნულ რეკომენდაციაში მოყვანილი იყო 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მეოთხე მუხლის მე-15 პუნქტი, რომელიც მოგვიანებით გაუქმდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და დააფუძნა ინგლისური ენის ჯგუფები

დონეების მიხედვით. აღნიშნული მექანიზმის დახმარებით უცხო ენაში შედეგების მიღწევა უფრო რეალური გახდა.

- მეოთხე რეკომენდაცია სასწავლო კურსების წინაპირობებს და მათ დარღვევას შეეხებოდა. თავდაპირველი რეკომენდაცია ასეთი სახით იყო მოცემული: „სასურველია სასწავლო კურსის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლება“ წინ უსწრებდეს სასწავლო კურსის „კონსტიტუციური სამართლის სწავლებას“, ხოლო „ეკონომიკის“ სასწავლო კურსის სწავლება „საგადასახადო საქმის“ სასწავლო კურსის სწავლებას.“ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა დაწესებულების მიერ და შესაბამისად შეტანილი იქნა ცვლილებები კურიკულუმის სასწავლო გეგმაში. ამას გარდა, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები არ იყო სილაბუსებში ასახული, თუმცა დაწესებულებამ ეს ხარვეზი გამოასწორა.

- მეხუთე რეკომენდაცია შეეხებოდა კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს, კერძოდ, დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ „კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, სილაბუსის გარდა, სასურველია აისახოს პროგრამის სასწავლო გეგმაშიც.“ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირების თანახმად ასახული იყო როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე სილაბუსში.

- მეექვსე რეკომენდაციის თანახმად, „სასურველია სასწავლო კურსს „მართვის საფუძვლები“ ეწოდოს სახელმწიფო მართვის საფუძვლები“. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

- მეშვიდე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსის, რეგიონალური ეკონომიკა და მუნიციპალური მართვა, ორ ნაწილად გაყოფას არ იქნა გათვალისწინებული. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ეს შენიშვნაც გაითვალისწინა და კურსი ორ ნაწილად გაყო.

- მერვე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის საფუძვლების“ სწავლებას, სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულის ნაწილში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სისხლის სამართლის საფუძვლების სწავლება გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსში „სამოხელეო სამართალი“, კერძოდ, უზრუნველყოფილი იყო სილაბუსში გაწერილი თემატიკით „საჯარო სამსახურის ეთიკა, საჯარო სამსახური და კორუფცია“ და სასწავლო რესურსით - „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სისხლის სამართლის“ კოდექსი. ვიზიტის დროს, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო კურსი „სამოხელეო დანაშაული“.

- მეცხრე რეკომენდაციასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ მოდიფიცირებულ საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტებისთვის საბაკალავრო ნაშრომი იყო როგორც არჩევითი კურსი (10 კრედიტი) საპირწონედ ორი ხუთკრედიტიანი სასწავლო კურსებისა. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზე პირს ენიჭებოდა კვალიფიკაცია, იქნებოდა განსხვავებული იმ სტუდენტთათვის, ვინც აირჩია საბაკალავრო ნაშრომი და იმ სტუდენტთათვის რომლებიც გაივლიდნენ ნაშრომის ნაცვლად სასწავლო კურსებს. იქიდან გამომდინარე, რომ საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგები უნდა დადასტურებულიყო ყველა სტუდენტის შემთხვევაში თანაბარი პირობებით, დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ საბაკალავრო ნაშრომი ან უნდა ყოფილიყო სავალდებულო ყველა სტუდენტთათვის ან შეთავაზებული უნდა ყოფილიყო მის ნაცვლად სხვადასხვა სასწავლო კურსები, რომელთა ათვისების შედეგად მიღწევადი ხდებოდა პროგრამის შედეგები. აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა დაწესებულებამ და ვიზიტის დროს პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილება. ასევე, არ იყო შემუშავებული სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების კონკრეტული აქტივობები „საჯარო მმართველობის“ პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულებაში „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებდა 30 პირი, ამათგან 15 აკადემიური პერსონალი, ხოლო 15 მოწვეული სპეციალისტი. სამი ასოცირებული პროფესორი, კერძოდ ი. შალამბერიძე, ს. ჩეჩელაშვილი და თ. ჩურკვეიძე, მართალია მაგისტრის ხარისხის მქონე პირები იყვნენ, თუმცა თავიანთი პროფესიული გამოცდილებით აკმაყოფილებდნენ სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა საჭიროებდა საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრა საჯარო მმართველობის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. სტუდენტებთან შეხვედრისა და გასაუბრების დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების, ცოდნის შეფასების სისტემის, კრედიტების მოპოვების, სასწავლო კურსის წარუმატებლად გავლისა და მისი შედეგების შესახებ, ასევე დადასტურდა აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობები, კონსულტაციები და დახმარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები სწავლობდნენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გარდა დამატებით სხვა საგნებსაც. სემესტრული დატვირთვა შეადგენდა დაახლოებით 8-9 საგანს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების თანახმად, სასწავლო კურსები „საქართველოს ისტორია“, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, „ხელოვნება“, „ქართული ენა“ ისწავლებოდა უწყვეტად, საბაკალავრო პროგრამის განმავლობაში. ფასდებოდა სტუდენტის ცოდნა, თუმცა აღნიშნული არ აისახებოდა დიპლომის დანართში. დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, რომ სასურველი იყო ყველა საგანი ასახულიყო სასწავლო გეგმასა და სტუდენტის მიერ გავლილ კურსთა ჩამონათვალში, ისე რომ წლის განმავლობაში კურსთა საერთო მოცულობა 75 კრედიტზე მეტი არ გამოსულიყო და შესაბამისად, პროგრამის მოცულობა 240 ნაცვლად მაქსიმუმ 300 კრედიტის ოდენობით განსაზღვრულიყო, რომლის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდა კანონმდებლობა.

ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენად კმაყოფილები იყვნენ სტუდენტები დამატებითი საგნების სწავლებით. ექსპერტმა განმარტებით, სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული აღნიშნული კურსების სწავლის პროცესში და შესაბამისად მათი კმაყოფილების დონე მაღალი იყო.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილის კითხვა უკავშირდებოდა აღნიშნული საგნების ცხრილში გათვალისწინებას. ექსპერტის თეა ნადირაძის განმარტებით, დამატებითი საგნები ცხრილში არ იყო გათვალისწინებული. სტუდენტები შაბათ დღეს ესწრებოდნენ ამ საგნებს, რაც პრაქტიკულად ადვილი განსახორციელებელი იყო, იმიტომ რომ სტუდენტების უმრავლესობა სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრობდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ენიჭებოდათ თუ არა კრედიტები სტუდენტებს აღნიშნულ საგნებში, ან იღებდნენ თუ არა რაიმე სახის დამადასტურებელ დოკუმენტს ან შეფასებას. ექსპერტის განმარტებით, დამატებით საგნებში სტუდენტები იღებდნენ შეფასებას, თუმცა არ ენიჭებოდათ კრედიტები ან რაიმე სახის კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. პრობლემური იყო ის საკითხი, რომ აღნიშნული საგნების სასწავლო გეგმაში შეტანა გამოიწვევდა პროგრამისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის გადაჭარბებას (240 კრედიტი). საგნების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, თითო სემესტრში ისწავლდებოდა 4 საგანი, რაც საბოლოო ჯამში ზრდიდა კრედიტების რაოდენობას. საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა, შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენლებს, დამატებით სპეციალობად შეეთავაზებინათ საგნები სტუდენტებისათვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება წელიწადში 75 კრედიტზე მეტი ყოფილიყო სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, ამის განხორციელება შეუძლებელი იყო. შედეგად კი,

აღნიშნული საგნების საერთო კრედიტების რაოდენობა აჭარბებდა დადგენილ ზღვარს (მაქსიმუმ 300 კრედიტს).

„საჯარო მმართველობის“ სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაწერილი სასწავლო კურსების სწავლება არ ემთხვეოდა კურსის განხორციელების პერიოდს, მაგალითისთვის: თუ სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“ სასწავლო გეგმაში მესამე სემესტრში იყო განსაზღვრული, სტუდენტის სასწავლო ბარათით დასტურდებოდა, რომ მან აღნიშნული კურსი გაიარა მეხუთე სემესტრში; სასწავლო კურსს „საგადასახადო საქმე“ მეხუთე (ძველი პროგრამით მესამე) სემესტრის ნაცვლად სტუდენტი სწავლობდა პირველ სემესტრში, მაშინ როდესაც აღნიშნულ კურსის დაშვების წინაპირობა იყო „ეკონომიქის“ (მესამე/მეოთხე სემესტრის ნაცვლად) და ისიც ამავე სემესტრში ისწავლებოდა; სასწავლო კურსი „სამოხელეო სამართალი“, მესამე სემესტრის ნაცვლად, ისწავლებოდა პირველ სემესტრში.

დაწესებულებაში მნიშვნელოვანი იყო ასევე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოუყენებლობა. ადმინისტრაციის, პერსონალთან შეხვედრისას დადასტურდა სწავლების პროცესის შეფასებისთვის კითხვარების შევსება, თუმცა კითხვარების გაანალიზების შედეგები არ იყო ასახული პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი იყვნენ შესაბამის საჯარო სამსახურებში და რომ ეს მათი სწავლების შედეგი იყო.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, თემურ ტუნაძის განმარტებით, დაწესებულებას 2012 წელს ჰქონდა სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლებისათვის შედგენილი კითხვარები, რის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა. დაწესებულება რეგულარულად აღრიცხავდა ასევე კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებსა და ადგენდა სტატისტიკას. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით გაითვალისწინებდნენ ექსპერტის რეკომენდაციებს და გამოასწორებდნენ არსებულ ხარვეზებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტება გააკეთეს ასევე დამატებითი საგნების შესახებ. მათ იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და ახალი სემესტრიდან გადაწყვიტეს ე.წ. კლუბების ჩამოყალიბება, სადაც აღნიშნული კურსების გავლა სტუდენტებისთვის იქნებოდა ნებაყოფლობითი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება მხარს არ უჭერდა ამ სახის შეზღუდვას, რადგან დაწესებულების სტრატეგიული გეგმა თავიდანვე ითვალისწინებდა დამატებითი საგნების აქტიურად სწავლებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ალტერნატიული გზის მოძიება. მათი თქმით, ამის შესახებ სიტყვიერი შეთანხმება უკვე არსებობდა და შემდგომი სემესტრიდან ცენტრსაც ეცნობებოდა აღნიშნულის შესახებ.

რაც შეეხება სასწავლო გეგმასა და საგნების არათანმიმდევრულობას, ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა ორჯერ (ეკონომიქისა და საგადასახადო საქმის შემთხვევაში), როცა აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა საშუალება წაეკითხა საგანი. ამიტომ ეს საგნები თავის წინაპირობებთან ერთად იკითხებოდა ერთ სემესტრში. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამას სისტემური ხასიათი არ ჰქონდა და ერთჯერადი ხარვეზი იყო. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკადემიურ პერსონალს ხშირად ჰქონდა ტრანსპორტირების ან სხვა პრობლემები, ამიტომაც მოუწიათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების სხვა სემესტრში გადატანა. საბაკალავრო ნაშრომს რაც შეეხებოდა, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და შესაბამისად ეს ხარვეზიც გამოსწორდა. საჩივარში, რომელიც მონიტორინგის ვიზიტს ედო საფუძველად, ასევე მოხსენიებული იყო აკადემიური პერსონალი და ექვევებ იდგა მათი კომპეტენციის საკითხი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეისწავლეს აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას ჰყავდა შესაბამისი კომპეტენციების

მქონე 15 აკადემიური პერსონალი და 15 მოწვეული სპეციალისტი, რაც დასტურდებოდა მათი გამოცდილებისა და პირადი საქმეების საფუძველზე.

საბჭოს წევრები დამატებით დაინტერესდნენ ბაკალავრიატზე ჩაბარებული სტუდენტების რა ნაწილი ამთავრებდა პროგრამას სრულად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა სტუდენტი ამთავრებდა ბაკალავრიატს. დაწესებულებას ასევე ჰყავდა გრანტიანი სტუდენტები და უფასოდ სთავაზობდა სტუდენტებს სწავლებას და ცხოვრებას. სტუდენტი თანხას იხდიდა მხოლოდ კონკრეტული კურსის განმეორებით გავლის შემთხვევაში. ექსპერტმა, ციური დურულმა დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სტუდენტები განსაკუთრებით მოტივირებული ჩანდნენ და კიდევ ერთხელ აღნიშნა დაწესებულების მიერ შეთავაზებული დამატებითი საგნების მნიშვნელობა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინების კუთხით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებისა და სტატისტიკის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებული იყო სხვადასხვა კერძო და საჯარო დაწესებულებებში. 2014 წელს დასაქმდა 13 კურსდამთავრებული, 2013 წელს - დასაქმდა 14, ხოლო 2012 წელს - 11.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციით. დაწესებულებას ჰყავდა პროფესორები, რომლებიც არ იყვნენ დოქტორის ხარისხის მფლობელები. ექსპერტის, თეა ნადირაძის განმარტებით, რადგან უმაღლესი განათლების შესახებ კანონი არ მოითხოვდა იმპერატიულად აკადემიური პერსონალისთვის ხარისხის ქონას, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა დასაქმებული აკადემიური პერსონალის სამუშაო გამოცდილება და პირადი საქმეები, რითაც მათი კვალიფიკაცია დასტურდებოდა.

საბჭოს წევრის, თამარ ბრეგვაძის განცხადებით, მისთვის მისაღები იყო დაწესებულების მიერ შეთავაზებული გამოსავალი დამატებით საგნებთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა, რატომ არ შეცვალა დაწესებულებამ ეს პროგრამა აქამდე ან რა მექანიზმები ჰქონდათ პროგრამის სწრაფად შესაცვლელად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, თემურ ტუნაძის განმარტებით, რადგან არ არსებობდა იმის პრობლემა, რომ აღნიშნულ პროგრამას ვერ დაძლევდნენ სტუდენტები, ამიტომ არ უფიქრიათ, რომ ეს შეიძლებოდა შეცვლილიყო. რადგან ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში, როგორც პრობლემა, დაწესებულებამ გადაწყვიტა მიემართა სტანდარტული პროცედურისთვის, რაც ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნული საკითხი განხილულიყო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და გადაწყვეტილება მიეღო აკადემიურ საბჭოს.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, ხაზი გაუსვა სტუდენტების კმაყოფილებას და მათ მაღალ მოტივირებულებას, რაც მათთან ინტერვიუს დროს დადასტურდა. სტუდენტებისათვის ეს პროგრამა (დამატებითი საგნების ჩათვლით) აღიქმებოდა ერთ პროგრამად, ამიტომ ექსპერტებსაც არ გასჩენიათ სურვილი ცალკე გაემიჯნათ დამატებითი პროგრამა, მითუმეტეს ექსპერტებს არ ჰქონდათ დამატებითი საგნების სილაბუსები.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დამატებითი საგნების სილაბუსები და ვინ კითხულობდა აღნიშნულ კურსებს. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, კურსებს აკადემიური პერსონალი და მეუფე კითხულობდნენ. ექსპერტმა, თეა ნადირაძემ დასასრულს კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მოწონებული იყო დაწესებულების იდეა, შექმნილიყო კლუბები, დამატებითი საგნების სწავლების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო არსებული სასწავლო გეგმის ზედმიწევნით განხორციელება, მიუხედავად ტრანსპორტირებისა და სხვა სახის პრობლემებისა. სხვა შემთხვევაში უნდა მომხდარიყო პროგრამის მოდიფიცირება. საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა შესთავაზა დაწესებულებას, დაენერგათ ბლოკებად დაყოფილი სასწავლო გეგმა, რაც გაუადვილებდა დაწესებულების აკადემიურ პერსონალს სწავლებას და მოუხსნიდა

ტრანსპორტის პრობლემას. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააფიქსირა ასევე საკუთარი პოზიცია კლუბების შექმნასთან დაკავშირებით და ურჩია დაწესებულებას, აღნიშნული ინფორმაციის ასევე ვებგვერდზე განთავსება. მისი აზრით, დამატებითი კურსები უნდა ყოფილიყო აუცილებლად ნებაყოფლობითი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ აკრედიტაციის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში აესახა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და ცენტრში წარმოდგინა საგანმანათლებლო პროგრამა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საბჭოს წევრმა - ლევან გორდეზიანმა.

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:26 საათზე;

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 16:38 საათზე

საბჭოს სხდომა 16:43 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა.

6-156

2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი გვალიამ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეამოწმა პროგრამა და მის განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა, გაიმართა შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან და დეკანთან. ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ, მათ წარადგინეს მხოლოდ რამოდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ,

- პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებდა დოქტორანტის მიერ 2 სტატიის გამოქვეყნებას რეფერირებად ჟურნალში. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ რეფერირებად ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი იყო, ასევე სტატიაზე მუშაობის პარალელურად დოქტორანტს უწევდა პროგრამით გათვალისწინებული სხვა კომპონენტების შესრულება (საღებავო პროცესი, დისერტაციის მომზადება და სხვა), სასურველი იყო, სავალდებულოდ განსაზღვრულიყო არა 2, არამედ 1 სტატიის გამოქვეყნება.

- აუცილებელი იყო, პროგრამა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პლაგიატისგან დამცავი და გამაფრთხილებელი რეგულაციებით, რაც წინასწარ ცნობილი იქნებოდა დაინტერესებული პირებისათვის.

- მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას. ექსპერტების აზრით, სასურველი იყო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია თემატურად კავშირში ყოფილიყო სადოქტორო დისერტაციასთან. სტატიის თანაავტორობის შემთხვევაში, სასურველი იყო განესაზღვრათ, რომ დოქტორანტი ყოფილიყო სტატიის პირველი ან მეორე ავტორი. აღნიშნული რეგულაცია ხელს შეუწყობდა სტატიის შექმნაში დოქტორანტის მონაწილეობის წილის მკაფიოდ გამოკვეთას და ასევე, სხვა ავტორებთან „მიტმასნების“ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა სტატიის გამოქვეყნების ვალდებულების შესახებ დოქტორანტის მხრიდან. მისი განცხადებით, სწორედ 2 სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება ამყარებდა იმ პოზიციას, რომ დოქტორანტის მონაწილეობა სტატიის დაწერაში უნდა ყოფილიყო არსებითი, აქედან გამომდინარე დაწესებულების პოზიცია ამ მხრივ არ შეცვლილა. პროგრამაში მითითებული იყო, რომ დოქტორანტი ვალდებული იყო ჰქონოდა 1 გამოქვეყნებული სტატია, თუმცა სასურველი იყო

6.1.15

ჯამში 2 სტატიის გამოქვეყნება. ექსპერტის, გიორგი გვალას განცხადებით, ილიას უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო, ის რომ დოქტორანტს უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული 1 სტატია 0,5 იმპაქტფაქტორიანი ჟურნალში. საბჭოს წევრის, რევაზ სოლომონიას აზრით, დაწესებულებას სჯობდა სავალდებულო გაეხადა 2 სტატია. ექსპერტმა, გიორგი გვალამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მათ მიერ დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებები იყო რეკომენდაციის სახის და არ წარმოადგენდა შენიშვნებს. ამ რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა პროგრამის შედეგებზე გასვლას ხელს არ უშლიდა, შესაბამისად დაწესებულების გადასაწყვეტი იყო როგორ მოიქცეოდა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე განმარტება გააკეთეს პლაგიატთან დაკავშირებით. მათი თქმით, აღნიშნულის შესახებ ეთიკის კოდექსში იყო ნახსენები, ასევე გაწერილი იყო ეს საკითხი დებულებაში და სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, სადაც აღნიშნული იყო, რომ არაეთიკური ქცევა შეიძლება ყოფილიყო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავარაუდო კონტიგენტი წარმოადგენდა 5 სტუდენტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8-156

3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის (ინგლისურენოვანი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი გვალაიამ. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები იდენტური იყო შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ორივე სადოქტორო პროგრამისათვის. ინგლისურენოვან პროგრამასთან დაკავშირებით, ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციის სახით უცხოელი აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართვის საკითხი განსაზღვრასთან დაკავშირებით. ექსპერტების აზრით, საჭირო იყო უცხოელ აკადემიურ პერსონალს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მზაობა ხელშეკრულების ფორმით გამოეხატათ და არა ელექტრონულ ფოსტაზე მარტივი თანხმობის წერილით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ მიმართა დაწესებულებას, გამოეხატათ საკუთარი პოზიცია ექსპერტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის ზაზა რუხაძის თქმით, პროგრამა დაიგეგმა შესაბამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროგრამის დაწესება. დაწესებულებამ ამ შემთხვევაში მიმართავდა უკვე არსებულ პრაქტიკას. იმის ნაცვლად, რომ ხელშეკრულებაში ყოფილიყო გაწერილი, რომ მოწვეული პერსონალი მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში შემოღებდა დასაქმებას, დაწესებულებამ არჩია მათგან ჰქონოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოწერილი დასტური და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში გაეფორმებინა ხელშეკრულებები მათთან.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა, რა ტიპის ჩართულობას გულისხმობდა დაწესებულება, როდესაც იწვევდა უცხოელ აკადემიურ პერსონალს. დაწესებულებამ დაასახელა ორი მაგალითი, სადაც მოწვეული პერსონალი ჩართული იქნებოდა სემინარებისა და კოლოქვიუმების ჩატარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

6-106

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

6-106

მდივანი
თუთა ნარმანია

თუთა ნარმანია